„ღმერთო,
სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც
ამას ვდუდუნებ!“

კავკასია

ეროვნული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №9-10 (45-46) ნოემბერი-დეკემბერი 2010 წელი ფასი 1 ლარი

ხევსურეთში და მთლიანად საქართველოს მთიანეთში საგანგაშო მდგომარეობაა!..

გვ. 2

გზა მოკლე და მოხერხებული

გვ. 3

ჩვენია ჩვენი ქვეყანა, თუ?..

გვ. 4

თუშეთი, სოფელი დართლო

ძმობასა და ერთობაშია ჩვენი საერთო სახლის — კავკასიის აყვავება და განვითარება

კავკასიის ისტორიის ამ ურთულეს დროს, გლობალიზაციის პერიოდში, როცა ევრო-აზიურ სივრცეში იკვეთება ნაციონალური განვითარების ახალი რეალიები, კავკასიის ქვეყნების მთავრობებს თუ სხვადასხვა პარტიების ლიდერებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე.

საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტთა მეგობრობის ჯგუფი, რომელიც ემსახურება საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის მეგობრობასა და ურთიერთთანამშრომლობას.

საქართველოს და რუსეთის ფედერაციას შორის დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ყველანი ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ კავკასიის ხალხთა შორის ისტორიული და მეგობრული ურთიერთობა, რაც იქნება გარანტი კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისა.

ჩვენ, კავკასიელები, წარსულის, აწმყოს და მომავლის სრული პასუხისმგებლობის მქონე ხალხი, რომლებსაც კავკასიაში ცხოვრების თითქმის 1800000 წლიანი ისტორია გვაქვს, უნდა ვისწრაფოთ რომ გავამყაროთ ისტორიულ კონტექსტში ძმური ურთიერთობები თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კონფიციონალურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ასპექტში; ვეცადოთ საერთო ძალისხმევით მოვნახოთ მშვიდობიანი და ოპტიმალური გზები მსოფლიო პოლიტიკის ლაბირინთში კავკასიური ცივილიზაციის განვითარების მიზნით, რათა მან დაიმკვიდროს სათანადო საპატიო ადგილი მსოფლიოს თანამეგობრობაში.

* * *

დაღესტანში მცხოვრები დიდოელები დიდოეთის ისტორიული მხარის საქართველოს შემადგენლობაში მიღებას მოითხოვენ.

შესაბამისი შინაარსის წერილი, რომელსაც ხელს დაღესტანში მცხოვრები 15 ათასი დიდოელი აწერს, საქართველოში მათმა წარმომადგენელმა მოგამედ რამზანოვმა ჩამოიტანა, რომელიც პარლამენტის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ნუგზარ წიკლაურს შეხვდა.

„1944 წელს ჩვენ რეპრესიების მსხვერპლი გავხდით. ჩვენი სახლები დაწვეს და ყველაფერი გაგვინადგურეს. რუსეთისგან რეპრესირებულთათვის კომპენსაციას ვითხოვთ. საქართველოში კი იმისთვის ჩამოვედით, რათა მსოფლიოს შევატყობინოთ, როგორ გვექცევიან, გთხოვთ, მიგვიღოთ საქართველოს შემადგენლობაში“, — ნათქვამია მიმართვაში.

ამასთან, დიდოელები საქართველოს პარლამენტს დიდოური ენისა და კულტურის გადარჩენის საკითხში დახმარებას სთხოვენ.

დიდოელები დაღესტნის ერთ-ერთი კუთხის წარმომადგენლები არიან. მათი ენა და კულტურა ლესგინურთან ახლოს არის. ამჟამად დიდოელების რაოდენობა 40 ათასს შეადგენს.

დიდოეთი დღევანდელი დაღესტნის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული რეგიონია, რომელიც წუნტის, ბეჟეტის და ნაწილობრივ წუმადის რაიონებს მოიცავს. ისტორიულად, იგი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა XVIII საუკუნიდან დიდოეთი ავარიის სახანომ დაიპყრო.

ამ დროიდანვე დიდოელთა შორის ვრცელდება ისლამიც. ხუნძახის სახანოს მიერ დიდოელთა მიწების დაპყრობამ შეაფერხა დიდოელი ხალხის ჩამოყალიბება და დღესაც, დიდოურ ტომებს ერთიანი თვითალქმა მეტად შესუსტებული აქვთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდოურ ტომთა გაერთიანების პროცესი დღესაც გრძელდება, რასაც ხელს უწყობს ახლად წარმოქმნილი ეროვნული მოძრაობა, ჰინუხელები, კაპუჭელები და ჰუნზიბელები, რომელთაც თავიანთი საშინაო-სამეტყველო ენები აქვთ, ფლობენ ასევე ცეზურ ენასაც. ცეზები, ანუ საკუთრივ დიდოელები კი დიდოურ ტომთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან.

დიდოელები (მხ. რცხ. — „დიდო“, საერთო საკუთარი სახელწოდება კი „დიდობი“) ისტორიულ დიდოეთში მცხოვრებ ტომთა ჯგუფია. ჩვეულებრივ, ტერმინით „დიდოელები“ საკუთრივ დიდოელებს, ანუ ცეზებს (საკუთარი სახელწოდება — ცეზი), ჰინუხელებს, კაპუჭელებს (საკუთარი სახელწოდება — კაპუჭას სუკო ან ბეჟტას სუკო) და ჰუნზიბელებს (საკუთარი სახელწოდება — ენზეესი) იხსენიებენ. მათი რაოდენობა სადღეისოდ 40 ათასს აღწევს, თუმცა ეს მონაცემები დაუზუსტებელია, რადგან დიდოელები ოფიციალურად ხუნძებად აღირიცხებიან და ცალკე ეროვნებად არ გამოიყოფიან.

იოსებ ნონეშვილი

ცივ-გომბორიდან სიმღერით

(შემოკლებით)

ცივ-გომბორიდან სიმღერით
სიცოცხლის გადასახედი
მოსჩანს ისფერ ნისლებში
კახეთი, ჩემი კახეთი.
ღრუბლებში ამღერებული
დგას ალავერდის ტაძარი,
ფიქრივით მიმოფანტულა
ნანგრევები და ნაცარი.
იყალთოს დიდი ტაძრისა,
იყალთოს სიბრძნის ტაძრისა,
რომლის სხივებმა წინაპარს
გზა მწუხრში გაუნათლისა.
ცივ-გომბორიდან სიმღერით
დილის მზის გადასახედი,
ირმების გადასახედი,
კახეთი, ტკბილი კახეთი.
იქ დარჩა ჩემი ბავშვობა,
სხვენზე პატარა აკვანი,
დედის დარგული ნუშებით
განათებული სახლ-კარი.
მთვარეში ჩალის შრიალი,
ალაზნის ტკბილი დუდუნი,
ერთი მტკაველი ქალაქი,
გალავნით შემოზღუდული.
მაგრამ კახელი ვაჟკაცი,
გულდინჯი, აუჩქარებით,
მკერდით რომ გადაუღობა
მტერს კავკასიის კარები.
როცა ხვალისთვის მზრუნველი
მეზვრე ქვევრისპირს მიწვება,
ყანწის და სავსე ქვევრების
გაბაასება იწყება.
ცივგომბორიდან სიმღერით
სიცოცხლის გადასახედი,
ირმების გადასახედი,
კახეთი, ჩემი კახეთი.

1946 წელი.

კოგა არაგული: ხევსურეთში და მთლიანად საქართველოს მთიანეთში საგანგაშო მდგომარეობაა!..

ცნობილი მწერალი, ეროვნულ ფასეულობათა ერთგული დამცველი და სულიერების მედროშე კობა არაბული ხევსურეთში არსებულ კატასტროფულ მდგომარეობაზე საუბრობს და სავალალო სტატისტიკას გვაწვდის.

— ბატონო კობა, თქვენ ხშირად მოგზაურობთ თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ყველა ციხე-კოშკის თუ უბრალო ქვის ისტორია იცით და, მოდით, ამჯერად ვისაუბროთ, რა მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით?

— მე მოგაწვდით სტატისტიკას, რომელიც შეგძრავთ და ნათლად წარმოაჩენს ხევსურეთის სავალალო მდგომარეობას.

აყრილი თემ-სოფლების ტრაგედია ერის ტრაგედიაა. დემოგრაფიული რღვევის სურათი კი — კატასტროფული. ამჟამად ხევსურეთის 50 სოფელში დარჩენილია 120 კომლი... დიახ, ასეა. ეს საპატრიარქოში ვთქვი და დედაომ იტირა. მოდით, უფრო კონკრეტულად მოგახსენებთ, სად რა მდგომარეობაა, ანუ რომელ თემში რამდენი კომლია შემორჩენილი:

1. დათვის-გველეთ-მოწმაოს თემის 3 სოფელში არის 6 კომლი. მარტო დათვისში უწინ 60 კომლი ყოფილა. მამაჩემს 30 ახსოვდა, მე კი — 15-17 კომლი.

2. კორშა-ბარისახოს (ისტორიული გუდელას) თემში არის 60-მდე კომლი. ეს არის ასე ვთქვათ ცენტრი, სადაც სკოლა და პატარ-პატარა რაღაცეებია.

3. ჩირდილ-ბუჩუკურთის თემის 3-4 სოფელში არის 3 კომლი. ესაა გოგოჭურების, არაბულების და ჭინჭარაულების შერეული თემი.

4. გორშეღმის თემი, ანუ ბაცალიგოს ისტორიული თემის 8 სოფელში 4-5 ოჯახია ზაფხულობით, ხოლო ზამთარში — ერთი.

5. გუდან-ბისო-ხახმატის თემის 5 სოფელში დარჩა 8-9 კომლი, რომელთა უმეტესობა გუდანშია თავმოყრილი. ბისო-ხახმატში აღარავინ მიდის.

6. ქმოსტ-როშკის თემის ოთხ სოფელში (ესაა წიკლაურების, ბურდულების, ქისტაურების თემი) დარჩა 10-11 კომლი. აქედან ქმოსტში — ერთია, ღულეში — არცერთი, უმეტესობა როშკაშია.

7. ლიქოკის თემის 6 სოფელში (ლიქოკელ-სისაურების თემი) დარჩა 4 კომლი.

ეს პირაქეთა ხევსურეთი. ახლა პირიქითა ხევსურეთზე მოგახსენებთ:

8. კისტან-ლებაისკარის და გურო-შატილის თემი. გუროში, კისტან-ლებაისკარში და გიორგიწმინდაში არცერთი კაცი აღარ არის! შატილში დარჩა 11-მდე ოჯახი.

9. მუცო-არდოტის თემის 5 სოფელში (ხახაბო, არდოტი, ხონისჭალა, ანდაქი, არჭილო) დარჩა 6-7 კომლი.

აქ ისეთი ძველი გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ, როგორებიც არიან დაიაურები, ხოსიაურები, ზვიადაურები. ვაჟა-ფშაველა რომ წერს თავის პოემებში, ეს ხალხია და, საუბედუროდ, ეს ხალხი მხოლოდ პოემებში, ლექსებსა და მითებში რჩება.

10. არხოტის თემის 4 სოფელში (ამღა, ჭიმღა, ახიელი კვირიწმინდა), რომელიც მრავალგვარიანი თემია — აქედან არიან ბალიაურები, ოჩიაურები, ცისკარაულები, გიგაურები, ჯაბუშანურები, თეთრაულები. აქ არის ინგუშეთის საზღვარი და გზაც კი არ არის მიყვანილი. უზარმაზარი, ჰექტრობით მიწაა არხოტისა: სახნავი, საძოვარი, უნიკალური მდინარე ჩამოდის, ცხენით რომ გადიან, კალმახები ფეხებში ებლანდებათ, ზამთარშიც შეიძლება, ცხვარი იყოლიო — აი, აქ დარჩა 6-7 კომლი. არხოტი იცავდა საზღვარს. აქეთ შატილი იდგა, იქით — არხოტი. მხოლოდ რამდენიმე ვაჟკაცი დარჩა თავგანწირვის ხარჯზე. ზურგით მიაქვთ პროდუქტი. ჩვენ შეგვხვდნენ მგზავრები, ფქვილი მიჰქონდათ ზურგით. როშკიდან მოდიოდნენ, დაახლოებით 20 კილომეტრი უნდა გაიარო ფეხით. ტრაქტორის გადატარებაა საჭიროო, ითხოვენ, მაგრამ ამაოდ.

ჩვენმა მეზობელმა ინგუშებმა კი იქითა მხრიდან გზა შემოიყვანეს. რუსების ერთი გატოკება და მთის იქითა მხარეს უპრობლემოდ წაიღებენ, თან ისე, ხმასაც ვერ ამოვიღებთ.

ასეთია ხევსურეთის კატასტროფული სურათი 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის.

სამწუხაროდ, დაახლოებით იგივე მდგომარეობაა მთიანეთის სხვა კუთხეებში. გუდამაყარში კაცს ვერ ნახავთ. კიტოხის ხეობაში რვა სოფელი იყო და დღეს ერთი კაცი აღარ ცხოვრობს. მე დავდიოდი იქითა მხარეს. ბაკურხევში სამი კომლი დარჩა.

— ბატონო კობა, წლების წინ როგორი სურათი იყო ხევსურეთში?

— ალექსანდრე ბატონიშვილის დროს ხევსურეთში იყო 2 000 კომლი. ფშავში — 1 500, ხოლო თუშეთში — 1 200. ეს შედარებითი სტატისტიკა გვიჩვენებს რღვევის დრამატულ პროცესს.

ამბობენ, ხევსურებს ორი ათასიდან ოთხი ათასამდე მეომარი გამოჰყავდათო ომის დროს. ყოველ შემთხვევაში, 2 000 სულ იყო, ახლა კი 20 კაცსაც ვერ იპოვი.

სასაზღვრო ჯარმა დაასაქმა ხალხი, თორემ ეს 120 კომლიც არ იქნებოდა.

— მიზეზი, რის გამოც ხევსურეთი დაიცალა?

— ჩვენ 10-15 წლის განმავლობაში, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ შევძელით ხევსურეთში ვერანაირი გრანტის, ინვესტიციის მოზიდვა. ხელისუფლების გულგრილობამ მოსახლეობის დეპორტაცია 50-იანი წლების შედეგად მოიტანა სრული კატასტროფა!!!

— თქვენ რას სთავაზობდით ხელისუფლებას?

— ვთავაზობდით და ვთავაზობთ 3-4 თემისთვის (სადაც ჯერ კიდევ შეიძლება პროცესის შეჩერება) საგანგებო პროგრამის განხორციელებას: თითო თემის გადასარჩენად საჭიროა ჩაიდოს დაახლოებით 50 ათასი. შედეგი არ დააყოვნებს, რამდენიმე კაცს დავაბრუნებთ. პროგრამა გულისხმობს ყოველ თემში ტრადიციული მეურნეობის, ფერმების, ძველი ჯიშების, საკალმახეების მოწყობას, აგრეთვე ხალხური რეწვის სახლების მოწყობას. ეს არის, ფაქტობრივად, გადარჩენის პროგრამა. ეს მილიონიც არ გამოდის, რომ დავითვალეთ.

ამ თემაზე ვესაუბრე პატრიარქს, რომელიც დაინტერესებულია ამ პროგრამით.

ხევსურეთის გადარჩენაზეა საუბარი მაშინ, როცა ხელისუფლებას შადრევნებში, ხიდებში, ნაძვისხეებში თავისუფლად შეუძლია მილიონები გადაიხადოს.

— ანუ, ბატონო კობა, ახლახან მტკვარზე გადებული ხიდის საფასურად ჩვენ შეგვიძლია, ხევსურეთი ვიხსნათ?

— მარტო ხევსურეთი? ჟურნალისტებმა შესანიშნავად იცით, რამდენი მილიონი დაჯდა ეგ ხიდი, არადა, ხევსურეთი მითში, ფოლკლორსა და მეხსიერებაში რჩება მარტო.

პატრიარქმა ბრძანა, ის 100-120 ოჯახი, რომელიც აქ დარჩა, ეგებ საპატრიარქომ შეინახოსო. ინტერესი იმდენად დიდია, რომ მისი უწმინდესობა იმ დღეებში ხევსურეთში გაემგზავრა. მე მინდა, ბარისახომდე გამოიაროს. ეგებ მისმა ლოცვამ და ვიზიტმა რაიმე შეცვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სალოცავი გვაქვს, არცერთი არ მოქმედებს. ეგებ ერთი ეკლესია აღვადგინოთ. ხალხი ტირის, როცა ამ სტატისტიკას ნახულობს.

ხევსურეთში მრავლად არის ხატის მიწები, ხატის მამულები, ხატის ტაბუირებული სოფლები, სადაც ხალხი ვერ შედის. მე მინდა, ეს გადავიდეს საპატრიარქოს განკარგულებაში, ეგებ მეტი ყურადღება მიაქციონ და სულიერი ენერგია შებრუნდეს ამ სივრცეში. გამოცხადდეს ზოგიერთი თემი სამონასტრო თემად! ჩემი თემი ახლოსაც არის, საძოვარიც აქვს და მდინარეც. პატარა ტურისტული სახლები რომ გაკეთდეს და საფუტკრე-საკალმახეები მოეწყოს, ხალხს უკვე რწმენა და იმედი გაუჩნდება.

— უსახსრობის შემთხვევაში სად მივყავართ პროცესს?

— ერის სრული ლიკვიდაციისკენ! ყველა თემიდან გადის ადამიანი და სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ ამ ვითარებას?

ახლახან გახლდით მთაში. ორი ადამიანი გავასვენეთ. ჩემს თემში 55 წლის ადამიანს გაუსკდა გული. მასთან ერთად სოფელიც მოკვდა. ტრაგედია ერთია, მაგრამ კაცი რომ კვდება, სოფელიც კვდება. თითოკაციანი სოფლები გვაქვს, რაც ტრაგედიაა!

ყველა საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში და ესპანეთშია. რაზე მუშაობენ? ბოდიში და, მეძავებად, მოსამსახურეებად, მომვლელებად...

მთაში ვიყავი და გავოცდი. ხალხი ბარავდა. სირცხვილი იყო, მთიელი ხელში ბარს როგორ აიღებდა? საკარტოფილეებს ბარავს ფშაველი და ხევსური. ეს არის კატასტროფა!

თემურლენგი და შაჰ-აბასი რომ წვავდნენ ყველაფერს, როგორ ახერხებდნენ თავის გატანას ქართველები?

— როგორ?

— ეს ზონა გვიცავდა. აქ ხარით ხნავდნენ და თესავდნენ. ალპურ ზონამდეა ნახნავი ასული. უძველესი ჯიშები იყო გამოყვანილი! ქერი, ჩარათი, დიკა, ასლი, შვრია... მსგავსი ჯიშები გერმანელებმა წაიღეს და იქ შეინახეს, ჩვენ აღარ გვაქვს. ტყე ფარავს ყველას და ყველაფერს. დათვები და მგლები ბუდობენ. ჩემს სოფელში ვეღარ გავიარე ტყე და ბალახია ნასახლარებსა და ბილიკებზე გადავლილი.

ხვალ შეიძლება, არხოტი რუსეთმა წაიღოს. შატილამდეც კი მოიყვანეს რუსებმა გზები, ხიდს გადმოდებენ და მორჩა.

რას აკეთებს ამ დროს მთავრობა? საკაშვილი სექსის ინდუსტრიას ანვითარებს საქართველოში. სამეძაო სახლები იქმნება და მათი ლეგალიზება ხდება. მიშა სასტუმროებს აშენებს, სადაც მხოლოდ მოსამსახურეები სჭირდებათ. პედერასტების ინსტიტუტებს ქმნიან და იცავენ ეს ყვავები. აქამდე მიიყვანეს საქმე და უარესს მოიმოქმედებენ, თუ ეს პროცესი არ შევაჩერეთ!

ესაუბრა
ბექა სივსივაძე.

მ ა ღ ა რ ჩ ე ნ ა ს ი თ ხ ო ვ ნ ე

მცხეთა-თიანეთის მხარის გუბერნატორს!
დუშეთის რაიონის გამგებელს!
საქართველოს საპატრიარქოს!
ფონდ „იავნანას პრეზიდენტს პაატა ბურჯულაძეს!

წერილი ჩქარაქციას

ვიცით, რომ თქვენი გაზეთი ძირითადად მთის პრობლემებით არის გაჯერებული და მთიელი ხალხის ბედი მეტად აწუხებს.

1992 წლის მიწისძვრის დროს დაგვენგრა საცხოვრებელი სახლი. მაშინ ჩვენთან მოვიდა კომისია და ზარალი 20,000 ლარად შეფასდა. შეგვპირდნენ დახმარებას, მაგრამ მას შემდეგ არავინ გამოჩენილა. სახლი მთლიანად ამორტიზებულია და საცხოვრებლად უვარგისი.

მეუღლე და მე ორი მცირეწლოვანი შვილით ვცხოვრობთ გაუსაძლის პირობებში და შეხიზნულები ვართ იქვე სახლთან მიდგმულ 10 კვ.მ. ფართის მიწურში, რომელიც ადრე სათავსოდ გვქონდა გამოყენებული.

დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობიდან დაპირებები არ დაილია, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, დაპირება დაპირებად დარჩა და საქმის მოგვარებას არ დაადგა საშველი.

ჩვენი მაგალითით დავრწმუნდით, რომ ხშირ შემთხვევაში უპატრონო ადამიანებს არ ეხმარებიან, არადა ისედაც დაცლილია ფშავი და განსაკუთრებით უკანა ფშავი. ჩვენ ძალიან გვიყვარს აქაურობა, ჩვენი წინაპრები აქ ცხოვრობდნენ, და როგორ მივატოვოთ ადგილის დედა , იქნებ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდეს და გადაარჩინოს ჩვენი უმწეო ოჯახი.

ჩვენი დაქცეული ბინის კედლები ისეა დამსკდარი, თითო მტკაველზეა გახსნილი, ისეთი ავარიულია რომ მასში ცხოვრება არაფრით არ შეიძლება.

ბინის ასაშენებლად საჭიროა სამშენებლო მასალები: „ბლოკი“, ცემენტი, სახურავი — „შიფერი“ და სხვა.

შარშან დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობა შეგვპირდა, რომ შეგვიძენდნენ ფინურ სახლს, მაგრამ „ვერ იშოვეს.“ ის დოკუმენტები კი, რომელიც კომისიამ წაიღო, გაუჩინარდა.

აღარ ვიცით, ვის მივმართოთ.

ნანული
მჯედლური-
მთვარელაშვილი.

დღეს ჩვენი მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა საქართველოს ძირძველი ტერიტორიებიდან რუსეთის მიერ ოკუპაციის შედეგად გამოდევნილი მოსახლეობა, რომელთაც შეძლებისდაგვარად

გაგრძელება მე-3 გვერდზე ⇒

გზა მოკლე და მოხერხებული

თვალსაჩინო მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ვალერიან ელანიძე 80 წელს მიტანებულია. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი 1931 წლის 11 იანვარს თუშეთის სოფელ ჩიღოში დაიბადა. აქვე გაატარა ბავშვობა. მისი მშობლები 1937 წელს საცხოვრებლად გადმოვიდნენ სოფელ ლალისყურში. ფშავლის საშუალო სკოლა 1951 წელს დაამთავრა. 1960 წელს კი თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი და 1961 წლიდან ამავე უნივერსიტეტში მუშაობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვალერიან ელანიძის ოჯახი გამოირჩევა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით. მას ჰყავს მშვენიერი მეუღლე — მაყვალა იჭირაული და 3 სახელოვანი ვაჟიშვილი.

ვალერიან ელანიძეს თუშეთის ისტორიაზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მონოგრაფია, მათ შორის არის „თუშეთის ისტორიის საკითხები“, „ვინამ თქვა თუშთა დალევა“, „ზეზვა გაფრინდაული“ და სხვა.

თუ როგორ ესახება თუშეთის ტურიზმის მომავალი, ამის შესახებ ინტერვიუ ვთხოვეთ ბატონ ვალერიანს, რაც დიდად მნიშვნელოვანია მისი უტყუარი მონათხრობი მივაწოდოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს და ამასთან დღევანდელმა ხელისუფლებამ როგორ სახელმწიფოებრივ რეჟიმში ჩააყენოს თუშეთის ტურიზმის განვითარების გზები და საშუალებები.

— საბჭოური წყობილების ბოლო ეტაპზე თელავში გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ მაშინდელი ხელისუფლება აპირებსო **თელავის** რაიონის სოფელ გულგულაზე გავლით **მდინარე ალაზნის** გადაკვეთით სოფლებში: **ლალისყურის** და **ფშავლის** ხიდის გადასავალის წერტილთან, ძველად არსებული გზის პირას მდებარე სოფლების გავლით **თუშეთამდე** უმოკლესი გზის გაყვანის შესახებ.

სამანქანე გზა სულ პირველად **1978 წელს** ავიდა **თუშეთის სოფელ ომალოში.** პირველი მანქანით ავიდნენ ახმეტელები, ზემო და ქვემო ალვანელები, ლალისყურელები, ფშავლელები, ლეჩურელები და სხვ.

1979 წელს, თუშეთში ასევე იმავე მანქანით ავიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვალერიან ელანიძე**. 1981 წელს თავისი ამალით თუშეთს ესტუმრა საქართელოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ედუარდ შევარდნაძე**. აქვე იყვნენ მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები და თუში მოსახლეობა.

ამავე პერიოდში ომალოში შეიქმნა თუშეთის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა და დაარსდა სახალხო დღესასწაული: **„თუშეთობა,“ „მეცხვარის დღესასწაული“**.

— ბატონო ვალერიან შეიძლება არ გახსოვდეთ, ამ ღონისძიებას სხვებთან ერთად ჟურნალ „მნათობის“ მივლინებით მეც ვესწრებოდი და ამ მოვლენის შესახებ აღნიშნულ ჟურნალში დავბეჭდე ვრცელი სტატია სათაურით: „თუშეთს სიცოცხლე უბრუნდება “

— ამჟამად კი ჩვენ, ამბობს ბატონი ვალერიან ელანიძე, საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში გაჟღერებულმა ფრაზამ: **თელავი-გულგულა, ლალისყური-ფშავლის** გზის გაყვანის სურვილი გაგვიახლა: **თბილისი-თელავი-გომბორის** მაღალი, მსოფლიო სტანდარტების დონის გზის გაყვანის დიდმა სიხარულმა. და ამ თვალწარმტაცი გზის ერთ-ერთ მონაკვეთს ხალხის გრძელი კოლონა ფარავდა.

ამ მოვლენამ დიდი სიხარული გამოიწვია საერთოდ საქართველოში და კერძოდ, კახეთში. ბოლო წლებში ამ გზაზე უკვე შეუძლებელი იყო მიმოსვლა თელავიდან დედაქალაქის მიმართულებით და პირიქით.

— „კავკასიაში“ დაბეჭდილ წინა არაერთ წერილში უკვე ითქვა, რომ გომბორის უღელტეხილი სამანქანე გზისთვის თითქმის ჩაკეტილი იყო, არაერთხელ დაიბეჭდა ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენი წერილები.

— ეს გზა რამდენიმე წელი



გზა სტორის სეობიდან

მართლაც ჩაკეტილი იყო, ამ ისტორიული გზით, შიდა კახეთიდან დედაქალაქთან დასაკავშირებლად ყველაზე უძველესი, მოხერხებული და მოკლეა. ამავე გზით სარგებლობდა დიდი **მეფე ერეკლე** თელავთან შიდა კახეთიდან დასაკავშირებლად. ამავე გზით გადაასვენეს ჩვენი დიდი მეფე ერეკლე და მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით. თუნდაც გავიხსენოთ ჩვენი პრეზიდენტის კახეთში გამართული მთავრობის გამსვლელი სხდომა, სადაც მან საგანგებოდ ხაზი გაუსვა კახეთში ტურიზმის განვითარების საკითხებს და აღნიშნა, რომ კახეთი მრავალმხრივ საინტერესოა მდიდარი ისტორიული წარსულით და დასძინა: თუნდაც ტურიზმის თვალსაზრისით, ჩვენ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთო.

თუშეთი, სოფელი დოჭუ

ამასთან დაკავშირებით თელავის რაიონის მკვიდრი მოსახლეობა შევახსენებთ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ თურდოს ჭალიდან გზის მშენებლობა გაგრძელდეს თელავიდან გულგულაზე გავლით, მდინარე ალაზნის გადაკვეთით, შემდეგ კი ალაზნის ნაპირიდან საძოვრებისა და ვენახების გავლით, ლალისყურ-ფშავლის მდინარე სტორზე გადებული ხიდიდან, მდინარის მარჯვენა სანაპიროს აყოლებით თუშეთამდე.

ჩვენ ამ გზის მშენებლობის გაგრძელებას ვთავაზობთ ხელისუფლებას იმ დროს, როდესაც უკვე თუშეთში რამდენიმე წელია, რაც შეიქმნა თუშეთის ეროვნული პარკი, რომელიც ევროპაში ყველაზე დიდი მასშტაბისაა. მისმა შექმნამ უკვე საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტურისტები, ზაფხულობით, უკვე თუშეთს სტუმრობენ, დიდად აღფრთოვანებულნი არიან, მაგრამ, უკმაყოფილონი იმით, რომ ჩვენს დედაქალაქში არ არსებობს სპეციალური ტურისტული ცენტრი, რომელიც სათანადო ახსნა-განმარტებას მისცემს, დააკვალიანებს როგორ და რა გზით გაემგზავრონ თუშეთის მიმართულებით. უნდა არსებობდეს თბილისიდან პირდაპირ თუშეთამდე გამგზავრების საშუალება.

ამჟამად კი ტურისტები ყოვლად დაბნეულნი, ძლივს ჩამოდიან ქვემო ალვანამდე და გაზეპირებული აქვთ ორი სიტყვა: ალვანი-თუშეთი. თბილისში, კახეთისკენ მომდინარე ადგილს კითხულობენ, კითხვა-კითხვით და წვალებით პოულობენ, ავტოსადგურ კახეთისკენ მიმავალ ავტობუსების სადგურს. აქ უკვე მძღოლები პატრონობენ და თბილისი-ალვანის „მარშრუტკებით“ ქვემო ალვანამდე მოაცილებენ. აქვე ხვდებიან ადგილობრივი მძღოლები სპეციალური „ჯიპებით“, „ნივებით“ და გადაჰყავთ თუშეთში.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ საჭიროა თუშეთშიც იყოს ტურისტებისათვის მომსახურების ცენტრი, სათანადო ტრანსპორტით, რომ მთელი თუშეთი დაუბრკოლებლად მოიაროს სტუმარმა და მერე იგივე სახელმწიფო სამსახურის ტრანსპორტით გაემგზავროს თბილისში.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ბევრ არაპროფესიონალ მძღოლსაც, რომელსაც საკუთარი მანქანა აქვს და იცის თუ არ იცის მართვა, მოძრაობის წესები, აქვს თუ არა მართვის კანონიერი უფლება, არ ჰყავთ მათ კონტროლი და ამიტომ არის შემთხვევები, ესა თუ ის მგზავრობა ჯვარი სწერია ყველას და სიკვდილით მთავრდება. ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა სპეციალური სამსახურის შექმნა, რომელიც ერთი თუშეთის ცენტრალურ სოფელ ომალოში იყოს, ერთი კი სოფელ ფშავლის თავში. ასეთ სამსახურში უნდა მუშაობდნენ მაღალი კლასის მძღოლები და არა მოყვარულები, რომელთა უმრავლესობას ალბათ მართვის უფლებაც კი არ აქვს უბედურება კი იმაშია, რომ არ არის შემმოწმებელი, მძღოლი ნასვამია თუ ფხიზელი, ანდა აქვს თუ არა მანქანის უსაფრთხოდ მართვის უნარი.

აი, ასეთი გაჭირვებით, ტანჯვა-წვალებით ახერხებენ უცხოელი სტუმრები თუ ჩვენი მოქალაქეები, რომ როგორმე მოინახულონ თუშეთი, შემდგომ, ისევ იქიდანაც მათ გამომგზავრებას არანაირი ოფიციალური ყურადღება თუ საფუძველი არ გააჩნია.

ამ სერიოზულ საქმეს ესაჭიროება სახელმწიფოებრივი მიდგომა და ტურიზმისათვის განკუთვნილ ჩარჩოებში მოქცევა.

ამ მოთხოვნილებების დაყენება ხელისუფლებისადმი იმანაც გვიკარნახა, რომ მთავრობის ერთ-ერთ გამსვლელ სხდომაზე ანაკლიაში, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა ისაუბრა ახალი აეროდრომის მშენებლობაზე მესტიაში, ფოთში და იგი განსაკუთრებით შეჩერდა თუშეთში, სოფელ ომალოს აეროდრომის თანამედროვე სტანდარტებში აშენების საკითხთან დაკავშირებით და თან დასძინა: მინდორზე ჯდებიან თვითმფრინავები ყოველგვარი სპეციალური ნახაზებისა და ნიშნების არ არსებობის გარეშეო.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ თბილისში უნდა შეიქმნას ცენტრი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს



სოფელი გოგრულთა

გააგზავნის იმ მისამართებზე, მათი სურვილის მიხედვით, ვის სად უნდა და უპრობლემოდ მიიყვანს დანიშნულ ადგილამდე, რომ ისინი თბილისიდან პირდაპირ თუშეთში გადაადგილდნენ.

ამჟამად თუშეთის სამივე ხეობაში გაყვანილია სამანქანე გზები, მდინარეებზე კი გადებულია რკინა-ბეტონის ხიდები.

ესაუბრა
იზა ჯაჭვაძე.

ბადაგრძენას ითხოვენ

⇐ მე-2 გვერდიდან

დაეხმარა ცენტრალური ხელისუფლება და განათავსა როგორც ჩვენს დედაქალაქში, ასევე პერიფერიებში. სახლები აუშენა, ასევე სხვადასხვა დაწესებულება — შენობებში შეასახლა და თან საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან გამოძევებულ მოქალაქეებს დაუკანონა.

ეს ყოველივე რა თქმა უნდა გასახარია, მაგრამ რა დააშავეს ჩვენი მთების ბინადრებმა, რომლებიც ზოგჯერ მიწისძვრების გამო, ზოგჯერ წყალდიდობების შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილები.

უკანა ფშავში, დუშეთის რაიონის სოფელ შუაფხოში მცხოვრები ერთი უღატაკესი ოჯახი უმძიმეს პირობებში ცხოვრობს, რომელსაც აგერ უკვე კარს მიადგა ზამთარი და სახლი არა აქვს, რომ გამოიზამთროს, თანაც მთაში. ალბათ ბევრმა იცის, რა რთულია და ძნელი ზამთარში ცხოვრება, თუნდაც ნორმალური ბინა ჰქონდეს.

ვფიქრობ, ამ წერილის შემდეგ მაინც შუაფხოელი ოჯახის დიასახლისის, ქალბატონ **ნანული მჭედლური-მთავარელაშვილის** გასაჭირს გულთან მიიტანს მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორი — ცეზარ ჩოჩელი, დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობა, საქართველოს საპატრიარქო, რომ უმოკლეს დროში მოაგვარებენ ამ მართლაც რომ უპატრონოდ დარჩენილი ოჯახის უმძიმეს პრობლემას.

ლაპარაკია ადამიანების გადარჩენაზე და ამ საქმის გადადება, ან უგულებელყოფა ღალატის ტოლფასი იქნება.

პირდაპირ საგანგაშოა, რომ 1992 წლიდან დაწყებული, ამდენი ხნის განმავლობაში როგორ ვერ გამოჩნდა ადამიანი, რაიონის თავკაცი, რომ დახმარებოდა მართლაც რომ ამ უმწეო და უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ მთიელებს.

ამასთან ვთხოვთ შეძლებულ ოჯახებს, ბიზნესმენებს, იქნებ დაეხმარონ ამ უპატრონო და გასაცოდავებულ მთის მობინადრეებს.

გაზეთ „კავკასიის“ რედაქცია.

მინაწერი:

ჩვენი კორესპონდენტი ქეთევან მჭედლური დაინტერესდა ნანული მჭედლურის განცხადებით, რომელიც ეხებოდა მიწისძვრის შედეგად დანგრეული სახლის აღდგენას და ასეთი სურათი ნახა: დაზარალებულების განცხადება აღმოჩნდა ჩამოწერილი, ხოლო დახმარების სახით სხვადასხვა დროს გაცემული იყო სულ ორასი ლარი და რაც შეეხება კომისიის აქტს მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაზე, განაცხადეს, რომ ეს დოკუმენტები ექვემდებარებოდა ჩამოწერას და განადგურებულია მცხეთა-მთიანეთის გუბერნიის არქივის მიერ, როგორც განაცხადეს აღნიშნული არქივის თანამშრომლებმა.

ჩვენია ჩვენი ქვეყანა, თუ?..

ღია წერილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ბობა ხაჩიძეს, ეკონომიკის მინისტრს ვერა ქობალიას, საქართველოს სატყეო დეპარტამენტს

ცნობილია, რომ საქართველოს ტყეები, მათ შორის კახეთის, უმოწყალოდ იჩეხება და თითქმის განადგურებულია. ვიცით, რომ ხშირია ხანძარი. თუ ასე გაგრძელდა, მალე ქვეყანა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება, საამისო ნიშნები უკვე არის, თუნდაც საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე გამუდმებული ღვარცოფები და სხვა.

როგორც შევიტყვეთ, **ახმეტის რაიონის სოფელი მატანი და პანკისის ხეობის სოფლები** ღვარცოფებმა ძლიერ დააზარალა. ასევე **სტორის ხეობაში (თელავის რაიონი) სოფელ ფშაველში** ადიდებულმა **ჭიჭაკვის** პატარა მდინარემ 60 ოჯახი დააზარალა. აღნიშნული ხეობის ტყეები უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლ-კოხტახვთისმშობლამდე და მის ზემოთაც თითქმის მთლიანად არის განადგურებული. ეროზიის შედეგად აქ ერთი მთა უკვე ჩამოწვა. აქვეა **კონცხოვნის** ხეობა, რომელიც ტყის ჩეხვისგან მოტიტვლებულია და ეროზიისგან მთლიანად ჩამოწოლილი.

სტორის ხეობაში უნიკალური ჯიშის ტყეებია. ასეთი სილამაზის ადგილებს ჩვენს მიწა-წყალზე იშვიათად შეხვდებით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქვე, სოფელ **ფშაველის** და **ლეჩურის** ჩრდილოეთით, საიდანაც საავტომობილო გზა სტორის ვიწრო ხეობიდან **თუშეთისკენ** მიემართება, გაზაფხულობით და შემოდგომობით მიედინება ცხვარ-ძროხა „დაჯავშნული“ კავკასიური ჯიშის ძაღლებით, ბარგით დატვირთული ცხენები, მათზე გადაკიდებული ხურჯინები და ბატკნებივით ხურჯინებში ჩასმული „ბალღებით“.

ფშაველის თავში, სტორის პირას, ბატონ **გოგი თოფაძის** მიერ ჩადგმულია მსოფლიო სტანდარტების დონის უდიდესი და მძლავრი ხის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელსაც სულ მალე, მოკლე ხანში ვერ გაუძლებს ამ ხეობის ტყეები და მთლიანად „შეაკნატუნებს“, დარჩება მოტიტვლებული მთა-გორები, ეროზიული ადგილები და ღვარცოფები წალეკავს აქაურ მოსახლეობას.

როგორც ცნობილი გახდა, ეს უდიდესი ზომის მძლავრი ქარხანა ბატონმა გოგიმ **ჩინელებს ოჯარით გადასცა**, ოღონდ არავინ იცის რამდენი ხნით, რადგანაც დოკუმენტებში არ ჩაგვახედეს და მისმა „დროებითმა“ მეპატრონეებმა ცხრაკლიტული დაადეს.

ამ ქარხნის მუშაობა საქართველოს პარლამენტმა შარშანწინ ერთი წლით შეაჩერა.

ბატონო გოგა, ქალბატონო ვერა, სატყეო დეპარტამენტის მესვეურებო!

როგორ ფიქრობთ ამ ტყეების ჭრა და მძლავრი ქარხნის მუშაობა სიკეთეს მოუტონს აქაურობას? ჩინელებმა შარშან აამუშავეს ქარხანა და ლეჩურის ზემოთ, **ჭონტის ტყეში** უკვე დაიწყეს ხეების ჭრა და დამუშავება, ისიც გვაინტერესებს აქაური ტყეებიც გაყიდულია?

ფშაველის ქარხნისთვის მანამდე ხე-მასალას „ტრაილერებით“ მოეზიდებოდნენ **ყვარლიდან, თიანეთიდან** და **ახმეტიდან**, განა იქაური ტყეები არ არის მოსაფრთხილებელი?

დღეისათვის **ახმეტა-ფშაველის** ტყეებით სარგებლობენ ჩინელები.

მინდა აღვნიშნოთ, რით არის უფრო მეტად მნიშვნელოვანი სტორის ხეობის ტყეები: მის ქვედა ნაწილში მოჭარბებულად ხეები არის ექსპლოატირებული. იგულისხმება ის, რომ კომუნისტური რეჟიმის დროსაც იჩეხებოდა ერთი და იგივე ფართობები. ნახევარი კი, ხეობის ზემოთ, სადაც გზა და ტრანსპორტი არ უდგება, არის ხელუხლებელი წიფლნარები, რადგანაც ფერდობების დაქანებაა მაღალი, ძალზე დახრილია, ამიტომ ამ ფერდობებზე ტყე ჭრას არ ექვემდებარება.

სახეობრივად სტორის ხეობა მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ ბევრია **წაბლნარები.** გავრცელებულია აგრეთვე წითელ წიგნში შეტანილი სახეობები: **უთხოვარი, ძელქვა, ბზა, ჯონჯოლი, უცვეთელა, პასტუხოვის სურო.**

2000 წლისაა უთხოვარი ბაწარში, ძელქვის კორომები სოფელ ბაბანეურთან აღმოსავლეთით მდებარეობს. ეს ხეები 300 – 400 წლისაა. სტორის ხეობა კი უნიკალურია თუნდაც იმით, რომ აქ, წითელ წიგნში შეტანილი უთხოვარი ბუდობს. სახელდობრ, **პანკისის ხეობაში – ბაწარის ნაკრძალში, სტორის ხეობაში** – ფშაველის ჩრდილო დასავლეთით **ზვარლის წმინდა გიორგის ეკლესიის** და **ბანიანი ეკლესიის ფერდობებზე-უთხოვარი.**

ბაწარა – ბაბანეურის დაცული ტერიტორიები 9. 085 ჰექტარზეა გაშლილი. აქედან 3. 042 ჰექტარი ბაწარაშია. 770 ჰექტარი ბაბანეურში, ხოლო 5. 270 ილტოს აღკვეთილი შეადგენს.

უთხოვარი და ძელქვა, ეს ის უნიკალური და იშვიათი ჯიშებია, რომელთა დაცვის მიზნითაც 1935 წელს მოხდა ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსის მინიჭება. ბაბანეურს ეს სტატუსი 1961 წელს მიენიჭა. ილტოს აღკვეთილს კი – 2003 წელს. აი, ილტოს აღკვეთილისთვის ამ სახელწოდების მინიჭება იმან გამოიწვია, რომ აქ, ამ დროს მოხდა უთხოვრის კორომების მასობრივი განადგურება, ამერიკელების დაკვეთით ხე-მცენარის ყველაზე ნორჩი ნაწილებისგან სამკურნალო წამლების დამზადების მიზნით. სამწუხაროდ, მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლება კი არ აღკვეთდა, არამედ პირიქით, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ ჩვენ დეპარტამენტს ილტოს აღკვეთილი არ ჩამოეყალიბებინა.



სტორის ხეობა

ბატონო გოგა!

ვიდრე შორს წავალ, თავიდანვე მინდა გაუწყოთ, დაახლოებით ასეთივე შინაარსის ღია წერილი მივწერე თქვენს წინამორბედ მინისტრს, მაგრამ იგი მალე წავიდა ამ თანამდებობიდან და ისიც კი ვერ გავარკვიე გაეცნო თუ არა მას.

ვფიქრობ, თქვენ მაინც დაგაინტერესებთ, იქნებ იმის გამო, რომ ხელოვნებაა თქვენი პროფესია და არც ჟურნალისტობაა თქვენთვის უცხო. თუნდაც თქვენი რადიოგამოსვლები სტოვებს შთაბეჭდილებას, რომ თქვენ გულწრფელად ხართ დაინტერესებული გარემოს დაცვის საკითხებით.

სამწუხაროდ, ის კონტაქტი, რომელიც უნდა არსებობდეს თქვენსა და ჟურნალისტებს შორის, აწყდება თქვენი პრესცენტრის მესვეურთა გულგრილობას და არაპროფესიონალიზმს.

ამ მიზეზით ვერ შევძელი თქვენთან შეხვედრა და ის კითხვები, რაც მაწუხებდა გამეზიარებინა.

ეს ზაფხულის დასაწყისში იყო...

ახლა კი ისევ საქმეზე...

ბოლო დროის მოვლენებმა, ავბედითობამ და განუკითხაობამ ჩვენი ეროვნული საუნჯე მიწასთან გაასწორა. ამაში არა მარტო დღევანდელ ხელისუფლებას, წინასაც მიუძღვის ლომის წილი.

ბევრ მაღალჩინოსანთა შემოსევაა საქართველოს ბეღელად წოდებულ კახეთში. მარტო **სტორის ხეობას, პანკისის თუ ილტოს ხეობის ბუნების საოცრებას, ტყეებს, ჯიხვებს, ნიამორებს, ირმებს, შვლის ნუკრებს,** მთა-კლდეთა, ტყეთა ბინადრებს და საძოვრებს არ ეხება ეს. მთელი საქართველოს ბუნება ჩინიანისა და უჩინო ბრაკონიერების არენად არის გადაქცეული.

მინდა მცირე ექსკურსი შემოგთავაზოთ წარსულიდან...

ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს თავმჯდომარე **დავით ბიწაძე** იმის მაგივრად, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი საზღვრები დაეცვა, ვერტმფრენიდან ნადირობდა ჯიხვებზე და ნიამორზე და იქიდანვე ცეცხლსასროლი იარაღით ნადირობდა ჩვენი ბუნების საოცრებებზე და კიდევ ბევრი სხვა. ალბათ, ამიტომაც შემოგვწყრა უფალი, ჩვენი უნიკალური ბუნება, ასე დაუნდობლად რომ განადგურდა და კვლავაც ნადგურდება, წყალსა და ცეცხლს რომ მიაქვს!..

ისევ სტორის ხეობა...

გადაუდებელი საქმეა, განსაკუთრებული კონტროლი დაწესდეს სტორის ხეობის ტყეებზე, რათა ძირფესვიანად არ გაჩანაგდეს, თორემ თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება ეს თვალწარმტაცი საკრალური ადგილი თუ სანახები, სადაც მოსალოდნელია ღვარცოფებისა და ზვავების საშიშროება, იქ სასტიკად უნდა აიკრძალოს ტყე-კაფვა და ცარიელი ადგილები უნდა შეივსოს ახალი ნერგებით. ასევე, **ფშაველის ხის გადამამუშავებელი ქარხანა აუცილებლად უნდა გადაკეთდეს, სხვა ტიპის ქარხანად, თუნდაც ლუდის საწარმოდ, რომ ხალხიც დასაქმდეს!..**

ასევე აუცილებელია **სტორის ხეობა გამოცხადდეს ნაკრძალად**, დაინიშნოს მისი დირექტორი, რადგანაც ეს საზღვრისპირა თუშეთში გადასასვლელი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები თუ ტყეები ღვარცოფებმა არ წალეკოს!..

ვიმეორებ, თუნდაც იმიტომ, რომ როგორც ვთქვი, **აქ მსოფლიო მნიშვნელობის და წითელ წიგნში შეტანილი ხის ჯიშებია გავრცელებული.**

და ბოლო ხანს ხომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება და უკვე გადაიდგა ნაბიჯები ტურიზმის განვითარებისათვის. საქართველოს ნაკრძალები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ქვეყანაში და თანაც დიდი პერსპექტივები გადაიშალა ჩვენს წინ კახეთსა და აღმოსავლეთ–საქართველოს მთიანეთში ტურიზმის განვითარებისათვის.

* * *

თელავის რაიონში საძოვრების პრივატიზაცია შეჩერებულია, თუმცა კანონით აკრძალული არ არის. ამის გამო ბევრი საბუთი დევს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოში. ვინც მოასწრო წინ წლებში, მათ დაუკანონეს დანარჩენები ელოდებიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კეთილ ნება.

როგორც აქაურები ამბობენ, აღნიშნული სამინისტროს წინა ხელმძღვანელობამ ეს საკითხი არ გადაწყვეტა და საკმარისად დიდი ზიანი მიაყენა ფერმერების ფსიქიკას, ნდობის ფაქტორს და ქვეყნის ეკონომიკას.

ცივის მთის საზაფხულო საძოვრებზე დღეისათვის სულ სამი ბინაა, სადაც ქართველი ფერმერები არიან, დანარჩენი ბინები აზერბაიჯანული ეროვნების, მოსახლეობის წარმომადგენლებს უკავიათ. იქ უკვე რამოდენიმე დასახლება შექმნეს და ოჯახებიანად ცხოვრობენ. მათი ფერმების რიცხვი ოცამდეა. უნდა აღინიშნოს ისიც, მთაში არ გატარდა ქართული სულის პოლიტიკა. თუ ამ გზით ვიარეთ, აქაური მთების საძოვრებიც დაკარგულია.

მაინტერესებს, ვისთვის ინახავენ მთას თუ საკუთრების ფორმის შეცვლა აქამდე უნდა მომხდარიყო, გასჩენოდა პატრონი, განვითარებულიყო და დამაგრებულიყო ქართველი ფერმერი. თუ ეს არ მოხდება, მთას სამუდამჟამოდ ისევ უცხო ტომელი დაეუფლება.

ასი წლის წინ დაწერილ ლეგენდარული მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის გასაიდუმლოებულ ნაშრომში, რომელიც შეეხებოდა საქართველოს საზღვრებს და ზოგიერთი მეზობელი ერების დახასიათებას, გვაფრთხილებდა ოსების არაკეთილმეზობლურ დამოკიდებულებაზე, საზღვრების ჩაკეტვისა და დაცვის აუცილებლობაზე, რაც სამწუხაროდ დღეისათვის მეტად ცუდად და ტრაგიკულად აგვისრულდა. იგივე შეიძლება ითქვას არაქართული მოსახლეობის მიერ ჩვენი ცალკეული რეგიონების, განსაკუთრებით კი საძოვრების დაპატრონების მიმართაც. იქნებ მათაც გაეხსნათ მადა ტერიტორიების დაპატრონებისა.

მთავრობას რომ კანონი გამოაქვს, მრავალმხრივად უნდა შეხედვა, შესწავლა და ქვეყნის **ჩვენი ძირძველი ერის – ქართველების ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტა.**

გავიხსენოთ ისრაელის მთავრობის მიდგომა საკუთარი ტერიტორიის, ინტერესების გათვალისწინებით. სახელდობრ, მთის ზონის საძოვრები მთლიანად ებრაელ მთიელებს მისცა იჯარით და ამასთანავე მათვე დაავალა საზღვრისპირა ტერიტორიების გაკონტროლებისა და დაცვის საქმე.

კახეთის რეგიონში სამი აზერბაიჯანული სოფელია: ყარაჯალა, იორმუღანლო და კაბალი. ხელისუფლებამ თუ იცის როგორია მათი ცხოვრების დონე და შემდეგ თუ შეუდარებია ქართული სოფლების მოსახლეობის მდგომარეობისათვის?..

გთხოვთ მოინახულოთ და შეადაროთ ერთმანეთს... დარწმუნდებით, იშვიათი ქართველიღა მისდევს მეცხოველეობას, მევენახეობას. არასასურველი შემოსავლის გამო თითქმის ჩამკვდარია, (გაიჩეხა ვენახები შხამქიმიკატების სიძვირის გამო).

აზერბაიჯანული მოსახლეობა კი პირიქით, ცხოვრება შეიძინა, გალაღდა და საკუთრებაში ადვილად იკანონებს მიწებს, მათ შორის საძოვრებსაც. მათ ხელშია ფული... ეს კონკრეტულად სოფელ ყარაჯლის თავში სოფლების – ვარდისუბნის და რუისპირის განაპირა ტერიტორია ყარაჯლელების კუთვნილება გახდა და ვეება შენობებია წამოჭიმული. ანალოგიური მდგომარეობაა იორმუღანლოსა (საგარეჯოს რ-ნი) და სოფელ კაბალში (ლაგოდეხის რ-ნი). ეს კონკრეტულად კახეთის ზონაზე. სხვა კუთხეებშიც ალბათ ასეთი მდგომარეობაა.

ერთ მაგალითსაც მოვიყვან, ოღონდ **ქვემო ქართლში, ქალაქ რუსთავიდან** დაწყებულ ვრცელ მთას ისტორიულად ერქვა **ლომთაგორა**. დღეისათვის, ჩვენი მიწაწყლის ამ მთას **აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ უწოდა იაღლუჯის მთა** და ჩვენც მშვიდად და უპრეტენზიოდ მივიღეთ ეს აზერბაიჯანული სახელწოდება...

ისევ საძოვრებს დავუბრუნდეთ. რა ქნას ქართველმა გაძვალტყავებულმა ფერმერმა, ყველაზე მეტად მას აწვალებენ და ზღუდავენ მიწის საკუთრების დამტკიცებაზე. ჩვენია, ჩვენი ქვეყანა თუ...

ცივის საძოვრებზე **მუხიანი მთის** ბოლო წერტილში არის საზაფხულო სადგომი **მუხიანგორი.** იქ შვიდამდე საფლავია, სადაც აზერბაიჯანული ეროვნების მოქალაქეებს თავიანთი მიცვალებულები დაუმარხავთ...

ხედავთ მიწის დათრევის რა ვერაგული ხერხი მოუგონიათ? ამ მთებსდა აკლდა საფლავები...

თუ გაინტერესებთ, შეგიძლიათ მოინახულოთ ის ადგილები!..

აქ გაუგონარ უსამართლობას შეეწირა ამავე რაიონის ერთი, ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცი, ყარაჯელმა კაცმა თოფით მოკლა იგი...

გაგრძელება ე3-5 გვერდზე ⇒

დიდი მამულიშვილების საბუდარი

იმ დღეს თიანეთის კულტურის ისტორიაში, კიდევ ერთი ულამაზესი დღე ჩაიწერა.

თავმდაბალი, ნიჭიერი, ღვაწლმოსილი და ღირსეული თიანელი ხელოვანის **ალექსი ფუნთუშაშვილისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს მასპინძლობდა თიანეთი და თიანელები.**

ბატონი ალექსი **თიანეთის რაიონის სოფელ ორხევში** დაიბადა და გომბორის საშუალო სკოლა დაამთავრა. იმავე წელს ჩაირიცხა სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში თეატრალური განყოფილების განხრით. მან სპექტაკლის დადგმით ა. კაჭკაჭიშვილის კომედია „ამბავი ორი ბიჭისა", დაიცვა დიპლომი. აღნიშნულ კომედიაში მონაწილეობდნენ აწ გარდაცვლილი საქართველოს რესპუბლიკის ქორეოგრაფიული ანსამბლის დამსახურებული მოცეკვავე **ჯემალ სამხარაული**, მსახიობები **მიხეილ შუშანაშვილი, ვახტანგ სოზაშვილი**, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი და ყველასათვის საყვარელი ადამიანი **ნატაშა გონჯილაშვილი** და სხვები.

სპექტაკლის დასასრულს, რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა სასწავლებლის დირექციას, რომ ბატონი ალექსი სასწავლებლის დამთავრებისთანავე თიანეთში გაენაწილებინათ სამუშაოდ.

ბატონმა ალექსიმ დიდი წარმატებით დადგა სპექტაკლები: „ხევისბერი გოჩა", „რაც გინახავს ველარ ნახავ". ამის შემდეგ იგი სოფელ ჟებოტის კულტურის სახლის დირექტორად გადაიყვანეს, მან უმოკლეს დროში ააღორძინა კულტურის სახლის მუშაობა, დაიდგა მთელი რიგი სპექტაკლები: „გზააბნეული შვილი", „პატარა კახი", „მზის ამოსვლამდე". სპექტაკლმა „გზააბნეული შვილი", რესპუბლიკურ დათვალიერებაზე მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

იმის გამო, რომ თიანეთის კულტურის სახლში მუშაობა შესუსტდა, ბატონი ალექსი ისევ აქეთ გადმოიყვანეს რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. 1965 წელს კი დირექტორად დანიშნეს. შედეგმაც არ დააყოვნა, როცა რეჟისორმა შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები: ვაჟა ერიაშვილი, ვაჟა ბერიძე, თემო ლომაშვილი, იგორ გონჯილაშვილი, ეთერ გარაშვილი, ბელა ჯანგიძე, გელა ახალაური.

დუღდა მუშაობა, იღვრებოდა ოფლი, უმოკლეს დროში დაიდგა უამრავი სპექტაკლი.

სპექტაკლების სიმრავლის და ხარისხიანი დადგმის გამო, **კულტურის სამინისტრომ თიანეთის დრამატულ კოლექტივს მიანიჭა „სახალხო თეატრის" წოდება** და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუნიშნა რეჟისორისა და მხატვრის შტატი.

ბატონი ალექსის ძალისხმევით თიანეთში მუშაობდა საესტრადო ანსამბლები, კულტურის სახლთან არსებობდა მხატვრული ბრიგადა, რომელიც მონაწილეობდა თითქმის ყველა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში და ფესტივალში. მის მიერვე შეიქმნა და ჩამოყალიბდა თოჯინების თეატრიც და ასევე დაიდგა: „კეთილი პაპა," „ცანგალა", რომელიც დღემდე ცოცხლობს.

ალექსი ფუნთუშაშვილის ძალისხმევით მზადდებოდა საკონცერტო პროგრამა, რომელიც იმართებოდა არა მარტო რაიონში, საქართველოს სხვა მრავალ ადგილებშიც. უამრავი კონცერტი აქვთ გამართული როგორც მთაში მყოფ მწყემსებთან, აგრეთვე ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე, სადაც თვეობით იმყოფებოდნენ. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების მეცხვარეობის ფერმებში კულტურის სამინისტროს მიწვევით კონცერტებსაც მართავდნენ ღია ცის ქვეშ. ამიტომაც იყო, რომ თიანეთის სარაიონო სახლი რესპუბლიკაში ყოველთვის იყო მოწინავეთა რიგებში.

მთელს რესპუბლიკაში 11 პირველი კატეგორიის კულტურის სახლი იყო, მათ შორის ერთ-ერთი თიანეთში გახლდათ.

ალექსი ფუნთუშაშვილის დირექტორობის პერიოდში **თიანეთის ქორეოგრაფიულ ანსამბლს „სახალხო ანსამბლის" წოდება მიენიჭა,** რომელსაც ხელმძღვანელობდა **ნანა მენთეშაშვილი** და **სპარტაკ გუშარაშვილი**. ისინი დღესაც არ ღალატობენ ამ ტრადიციებს. სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა სიმღერის გუნდს, რომელსაც იაკობ გოგოხიძე ხელმძღვანელობდა, კულტურის სამინისტრომ თიანეთის კულტურის სახლს შვიდი დამატებითი შტატი დაუმატა.

ამავე პერიოდში სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები იმყოფებოდნენ **ბულგარეთში** ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი და ვაჟთა ვოკალური ანსამბლი **მოსკოვში**.

ბატონი ალექსი დაჯილდოებულია **ლაურეატის წოდებით, დიპლომებით, სიგელებით და „საპატიო ნიშნის ორდენით"**. ამდენი წარმატების მიუხედავად, იგი 2006 წელს მოულოდნელად გაათავისუფლეს სამსახურიდან, მაგრამ გული მაინც არ გაუტეხია, ან რომელ გულისტკენაზეა ლაპარაკი თავისი უსაყვარლესი შვილის – მარინას გარდაცვალების შემდეგ.

თიანეთის კულტურის სახლის შემოქმედებითი კოლექტივის დიდი დამსახურებაა ეს იუბილეც. მათი თანადგომით მთიელი კაცის სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე ვერ გატეხა სიკვდილმა, ეს ხომ რჩეულთა ხვედრია.

კულტურის სახლის ბერმუხას დღესაც ღირსეულად უკავია თავისი ადგილი. უამრავი ბავშვებისა და ახალგაზრდების აღმზრდელს, ყველასათვის სანიმუშო, სასურველ და საყვარელ „პაპას", დღესაც დიდი მონდომებით უსმენენ და ანგარიშს უწევენ მის რჩევა-დარიგებას. ამიტომაც ღირსეულად უძღვებიან მისი აღზრდილები ალექსი ფუნთუშაშვილის დაწყებულ საქმეს და გაკვალულ გზას.

ბატონი ალექსის იუბილეს და შემოქმედებ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე ⇒



ალექსი ფუნთუშაშვილს

ივრის ნაჟურით გაზრდილო
ვარსკვლავო თიანეთისა,
შენს ნიჭს–გონებას ვერ გწონით
უფალმა გაგისაჩინა.
მოყვარეს მოყვრულად ხვდები
მტერსაც ექცევი ძმურადა,
ვაჟას, შოთას და ილიას
მცნებებს ასრულებ სრულადა.
შენმა დადგმულმა სცენარმა
აახმაურა ქვეყანა,
თიანელ ახალგაზრდობას
შენ აზიარებ ღმერთთანა.
ხან მწვერვალისკენ მიგყავდა,
ხან ააფრენდი ცაში,
ოქროს და ვერცხლის მედლები
უკვე გერევა თვალში.
კაცურ–კაცობით იცხოვრე
სთესე ვარდი და ია,
დღესაც სიკეთის გზით მიგვყავს,
რასაც კულტურა ჰქვია.
ედემის ბაღში მოკრიფე
77 — ვაშლი,
ასი წლისა, რომ გახდები
აღარ დაგრჩებით ვალში.

ლალი ივანაური

ჩვენია ჩვენი ქვეყანა, თუ?..

⇐ მე-4 გვერდიდან

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი ბედოვლათობითაც ბევრი ზიანი მიადგა დედა საქართველოს სახელმწიფოებრიობას... საკუთარს პატივს არ ვცემთ, ხელს არ ვუწყობთ ძირძველი ქვეყნის შვილებს, ქართულ მოსახლეობას, სხვები ლაღობენ!..

ჩვენი ბედკრული სამშობლოს-ქართველთა მიწა-წყალზე ეროვნულ უმცირესობაში გადასვლას ცოტა მანძილიღა გვაკლია.

ალბათ ამიტომ არის, რომ ქართული მოსახლეობა ლუკმა პურის საშოვნელად უცხოეთში მიედინება და ბევრი მოქალაქე სამუდამოდ რჩება, **ჩვენ კი ვკარგავთ ტერიტორიებს, მიწებს, გენოფონდს, ახალგაზრდებს, რომელთაც უნდა გაამრავლონ ჩვენი ქვეყანა.**

გვიშველე ღმერთო!..

გთავაზობთ კითხვებს, რომელთა პასუხების გაცემას ამ სტატიის სხვადასხვა საკითხებთან ერთად ელოდება როგორც ჩვენი გაზეთი „კავკასია", ასევე მოსახლეობა:

1) რა რაოდენობის ფართობი უჭირავთ კახეთის მხარის ტყეებს, აქედან რამდენია მოსახლეობისათვის განკუთვნილი და რა ჯიშის სამერქნე ხეებია გავრცელებული?

2) სატყეო მეურნეობები თუ გასცემს ბარათებს, ხის მასალის მოსაპოვებლად და დღეისათვის რა ღირს ერთი კუბური მეტრი



სტორის ხეობა — საბორიო
გიორგი ცაცანიძის ფოტო

მასალა?

3) რამდენია ხის გადამამუშავებელი ქარხანა ამავე რეგიონში?

4) კახეთის სატყეო მეურნეობები რა ეკონომიკურ ეფექტს აძლევს აქაურ რაიონებს?

5) დღეს უკვე პრაქტიკაში შემოვიდა ტყეების გრძელვადიანი იჯარით გაცემა. ალბათ იცით, რომ კახეთში ტყის უნიკალური მასივებია. აქაც ხომ არ იგეგმება ინვესტორისთვის ტყეების გადაცემა, ან უკვე ხომ არ გაყიდულა?

6) როგორც ვიცით, გაიყიდა დიდი ილიას სამშობლო ყვარელში ტყე. რას ფიქრობთ ამაზე და ხომ არ გვეტყვით, რა შედეგს გამოიღებს ეს?

7) ტყეებში ხილის მოპოვება: კენკრის, კუნელის, ასკილის, პანტის, მაჟალოს, სოკოს და სხვ. ტრადიციულად მოსახლეობას თავისუფლად აღარ შეუძლია. ამბობენ მისი მოპოვება უნდა დაიბეგროსო, იგივე შეეხება სათიბ-საძოვრებს. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს და რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას ამ მიმართულებით, ამასთან აქაური ტყეებიც ხომ არ არის გაყიდული უცხოელებზე?

8) მოსახლეობას რამდენად შეუძლია ამ ტყეების მერქნით სარგებლობა და როგორი უფლებით?

9) როგორც ამბობენ ჩინელები თელავის რაიონის სოფელ ფშაველში ადგილობრივ და ახლომახლო სოფლებიდან ხის მჭრელებს ქირაობენ და **ჭონტის, შვინდოვანის** და სხვა დასახელების ტყეებში წიფელი, რცხილა, მუხა, წაბლი, კაკალი, ამ ადგილებში სულ გააქრეს, რამდენად კონტროლდებიან ისინი და რამდენად იცავენ ხეების ჭრის წესებს, ანუ სანიტარული ჭრა ხდება, თუ მთავარი სარგებლობის ჭრა?..

10) გთხოვთ აგვიხსნათ, როგორ უნდა მოხდეს მდინარეებიდან და მისი ნაპირებიდან მოქალაქეთა მიერ მშენებლობისათვის ქვაქვიშის მოპოვება, რა ნებართვა სჭირდება მათ, რატომ არ აქვთ უფლება თავისუფლად მოიპოვონ მათთვის საჭირო ეს მასალა და სხვა და თუა მართლაც ასეთი კანონი შემოღებული, უსამართლოა და უბედურება, იმათთვის მაინც რომლებიც აქვე, მშობლიურ სოფელში ამავე ტერიტორიებზე ცხოვრობენ და არ აძლევენ უფლებას მიიტანონ ქვაქვიშა ნებისმიერი მშენებლობისათვის?

იზა ჯაჭვაძე.

პატარა წიგნი – დასაწყისი დიდი წიგნისა



წლეულს გამოვიდა **ივანე წიკლაურის (ჯურხათ ივანეს)** მცირე ფორმატიანი წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია კავკასიის ცენტრალურ მთიანეთში მცხოვრები ქართველი, ვეინახი და დიდოელი ხალხის, როგორც ერთმანეთთან, ასევე ტომთა და თემთა შორის ისტორიული ურთიერთობანი, ზნე-ჩვეულებანი, რწმენა–წარმოდგენები. საუბარია სახალხო-რელიგიურ დღესასწაულებზე და მათში მონაწილე რელიგიურ პერსონალზე და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე. ბატონ ივანე წიკლაურთან საუბრისას გაცხადდა და, რომ ეს პატარა წიგნი დასაწყისია დიდი წიგნისა

როგორც წიგნის წინასიტყვაობაში პროფესორი და რედაქტორი **ღვთისო მამისიმედაშვილი** აღნიშნავს, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად არის მოცემული, გუდანის ჯვარში შემონახული, მკვლევარებისათვის დღემდე უცნობი სამეფო კარის მიერ ხევსურებისათვის გაცემული სიგელები, საბუთები, მიკვლეული არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციი (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რ. რამიშვილი) მზვერავი რაზმის მიერ.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სიძველეებზე მომუშავე ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს, ხელოვნებათმცოდნეებს. წიგნი აგრეთვე განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის.

ივანე წიკლაური წიგნის გამოცემისათვის გაწეული ფინანსური დახმარებისათვის დიდ მადლობას უხდის: **შოთა წიკლაურს, გაგა არაბულს, მინდია წიკლაურს, გოგი ლიქოკელს, მიხეილ წიკლაურს, გიგი წიკლაურს, სიმონ გოგიძეს, ამირან ღოღაძეს.**

წიგნის გარეკანზე გამოსახულია ხევსურული ფარი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი „ხევსურეთი – 1929“.

***

თბილისში თუ ვინმეს ეტყვი – როშკაში ვიყავიო, პირველად ამას გკითხავს – ჯურხათ ივანეს იცნობო?

ივანე წიკლაური დღეს 70 წლისაა, კვლავ ახალგაზრდული სიმხნევით აღსავსე, თვალფხიზელი და გულფხიზელი, მწიფე თავთავივით თავდახრილი, ფშუტე თავთავთაგან დაფასების უნდაური, მომკელთა მცირე გუნდის ბრწყინვალე წარმომადგენელი, თავისი საყვარელი **როშკის ულავის** ულევობაზე მეოცნებე, ცოცხალ ლეგენდას რომ იტყვიან – ისეთი კაცი.

15 მარტს ფიქალ-სიპზე ამოკაწრული ასეთი ლექსით მივულოცე დაბადების დღე –

კაცთკითხულთა მოდგმას ვაქებ,
თვალშეუდგამ მთის
მწვერვალებს,
სხვათად გზებს და შუქურაებს,
ახალუხალთად მასწავლებს.
აწმყოს მხედარს, წარსულიდან
მომავლისკენ კვლავ ექროლოს,
სასიკეთო გზები ეხსნას,
საავკაცო ღრმად ექოლოს.
აარიდოს დიდი მარცხი,
წვრილნი ჯარად ესეოდეს,
მეგობრობის რთულ
გზაწვრილზე
უშეცდომოდ მერყეობდეს.
ფსკერის ბნელში დევი ეკლას,
მხარნი სისხლით გაებაწროს,
მერე ჩვენც ჩავშველებოდეთ,
ოთხ–ოთხობით ჩავენაცვლოთ.

დათო ჭელიძე.



ია-ვარდის სურნელით დამწვარი

ნონია ჯავახიშვილი სოფელ შინდისში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. ყმაწვილობიდან იტაცებდა პოეზია და წერდა ლექსებს. არასდროს უცდია ლექსების სამზეოზე გამოტანა. მის პოეზიაში ერთმანეთს ენაცვლება დარდი და სიხარული, ტკივილი, ცრემლი და ღიმილი, წარმავალობით გამოწვეული სევდა და იმედით გაცისკროვნებული მომავალი.

***

ცამ დამსეტყვა, არ მომეშვა,
დამაჩნია გულს იარა,
მზემ შემიპყრო, შემიყვარა,
სხივციმციმით გარს იარა.
ამაყვავა, გულის სწორი
არ მომაკლო, მომცა ბინა,
დამიფარა სიყვარულმა
მიჯნურის მკლავს მიმაძინა.

***

მთიდან ჩამორბის თოვლი და წვიმა,
დგას შემოდგომა მიწური
მოწყენით, ცივა...
ნაღვლიანია მთელი ბუნება,
ძილს ვერ წაართვა დაღლილი თავი
და გაზაფხულის მოლოდინშია...

ვდგავარ, ფიქრები მითრევს ჭაობში,
არც მშველელი ჩანს და არცა მჯერა.
შენ კი, ძვირფასო, მეტად ნუ სწუხარ,
ხელკავით მოგვდევს ჩვენ ბედისწერა!

***

საცაა გაზაფხულდება,
თოვლი დადნება მტირალი,
ამოვა მწვანე ბალახი,
გულისწამღები, ტიალი.
გაჩნდება ია ლამაზი,
ტყის ვარდი, მინდვრის სურნელი,
კლდეზე ობოლი ყვავილი,
დარდივით განუკურნელი.
გუგული მოვა, მე წავალ
კარზე მომდგარა მარტი,
თან რა წამყვება მე შენი,
კვლავ ძველი მისამართი...
პირველი სიყვარული და
მაინც უთქმელი დარდი!



კახეთ-თუშეთის უღელტეხილი
რამაზ ნაცვლიშვილის ფოტო

დიდი მამულიშვილების საბუდარი

⇐ მე-5 გვერდიდან

ითი მოღვაწეობის 77 წლისთავს ამშვენებდა, სიტყვა, ცეკვა, სიმღერა, ლექსი, სიმღერისა და ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ: **ლალი ივანაური, ციცინო გაბიდაური, ქეთი გონჯილაშვილი, გიორგი ზატუაშვილი, მზია დავითაშვილი, ვაჟა ერიაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, თეონა ყურშაშვილი, ეთერ აბრამიშვილი, ლიანა ალიაშვილი, სანდრო ხუცურაული, ეთერ გარაშვილი, ეკა ბაიაშვილი, ნინო ივანაური, თეონა უშიკიშვილი, გიორგი ხუმარაშვილი, ნანა ხარანაული, ნატაშა გონჯილაშვილი, მარიტა წივილაშვილი, ნანა მენთეშაშვილი, სპარტაკ გუშარაშვილი...**

საღამოს ესწრებოდნენ თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი **გიორგი აბაშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **გია წიკლაური**, ბატონი **თამაზ იარაჯული**.

თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით ბატონ ალექსის საჩუქარი გადასცა ნონა ბაღიაშვილმა.

ბატონი ალექსის იუბილეს ესწრებოდნენ ალექსი ფუნთუშაშვილის მეუღლე, შვილები, შვილიშვილი და შვილთაშვილი.

ლალი ივანაური.

***

მინაწერი: ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ამაღლებული და შთამბეჭდავი საღამო-იუბილეები იშვიათად მინახავს, თუნდაც დედაქალაქში, ვერ წარმოვიდგენდი, თუ თბილისის სიახლოვეს, ამ ულამაზეს და თანაც ღარიბ რაიონს ასეთი ამზევებული ადამიანები ანათებდნენ.

ალბათ მზის და ივრის ნაჟურის ათასფერადმა სივრცემ სიყმაწვილის ჟამიდანვე მოიცვა ბატონი ალექსი ფუნთუშაშვილის არსება და უკვდავებად ჩაესახლა სულის ლაბირინთებში და დღესაც სულის ნათებებით რომ მოსავს ამ მშვენიერი კაცის შემოქმედებას.

ეს ღირსეული და სამშობლოს ამაგდარი მამულიშვილი – ბატონი ალექსი ფუნთუშაშვილი თურმე ამავე რაიონის ერთერთ ულამაზეს სოფელ **ორხევში** დაბადებულა. ამ ფშაურმა სოფელმა ბევრი სახელოვანი შვილები გაუზარდა ქვეყანას: საქართველოს სახალხო არტისტი საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი, ივრის ხეობის და სრულიად საქართველოს მშვენება, დიდი **ნიკო ქუმსიაშვილი**, მისი ქალიშვილი დასტაქარი, მედიცინეს მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფოლკლორის უბადლო მცოდნე და მამის უკვდავყოფის დიდი მოამაგე, **როდამ ქუმსიაშვილი**, სიმღერის ვარსკვლავი, ნიკო ქუმსიაშვილის საგვარეულოს მეოთხე თაობის წარმომადგენელი – **თეონა ქუმსიაშვილი** და სხვები.

თიანეთის მთათა მწვერვალებიდან: **იხინჭიდან, ხაოშიდან, ჭიაურადან, ლაშარიდან** და სხვა, გადმოფენილი მითიური ჰანგები ლაშარის, იახსარის, თუ უფლისმიერი საბუდრიდან წამოსული, გადმომზევებია ბატონ ალექსის და აქაურ ხელოვანებს, დღემდე ესალბუნება მათს შემოქმედებით ღვთაებრიობას.

თიანეთური ზამთარიც კი რალაცნაირად მეთბუნება და მეშინაურება... აქ ყველაფერი აყვავებულია, მშვენიერია, ამაღლებულია და კეთილი.

ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი ღვთაებრივი და სამაგალითო მეგობარი, დიდებული პოეტი და მამულიშვილი, თიანეთის დიადემა **ალაზა ხაიაური** ყურში ჩამესმის მისი ლექსი, რომელიც გენიალური ქართველი პოეტისადმია მიძღვნილი და ჩარგალში ვაჟაობის, დღესასწაულზე წაკითხული: „ვაჟა ფშაველას საფლავთან თქმული მთაწმინდაზე“ დაუვიწყარია. დღესაც საგზლად მიმყვება მისი მეგობრობა... ჩამესმის აგრეთვე თიანეთში დაბადებული დიდი პოეტის **ბესიკ ხარანაულის** სენსაციური ლექსები და კიდევ თვალსაჩინო პოეტის **ტარიელ ხარხელაურის** ლექსის სტრიქონები.

აქაურ საძირკველზე აღმოცენდნენ ისინი.

უსასრულოდ შეიძლება ილაპარაკო თიანელებზე, თუნდაც ექიმ **ოთარ ცალუღელაშვილის** დიდბუნებოვნებაზე, **მის სათნო მეუღლე – ქეთინოზე**, სხვებზეც

როცა სული დაგიმძიმდებათ, გირჩევთ ესტუმროთ თიანეთს, სულხორციანად მშვენიერ აქაურ ადამიანებს, ულიმლამო ყოფას რომ ულამაზებენ არა მარტო თიანელებს, მთლიანად საქართველოს.

თიანეთი დიდი მამულიშვილების საბუდარია!..

იზა ჯაჭვაძე

შევეჯიბროთ ერთმანეთს სიყვარულში

სოფელი ლაფანყური დაღესტნის სასაზღვრო ზოლის სიახლოვეს მდებარეობს, თელავიდან ჩრდილოეთით, ალაზნის გაღმა მხარეს, კავკასიონის კალთების ძირას, მდინარე ლოპოტის აუზში და ადმინისტრაციული ცენტრიდან 34 კილომეტრის მანძილის დაშორებით.

როგორც მემატიანე აღნიშნავს, ლოპოტის ხეობაში საუკუნეების განმავლობაში ყოფილა დიდი დასახლება. ისტორიაში ცნობილია დაბა **ნოსორნა** და დაბა **მუხაციხე**, რომელთა ციხის გალავნების ნარჩენები დღესაც შემორჩენილია. ცნობილია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ **ვახტანგ გორგასალის შვილი — დაჩი** შემოსევისას თავს აფარებდა ლოპოტის ხეობას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული ხეობა იყო დაცული როგორც ხალხისგან, ასევე ეს გარანტირებული იყო ბუნებრივი პირობების არსებობითაც.

ცნობილია ისიც, რომ **მურვან ყრუ** შვიდჯერ შემოესია ლოპოტის ხეობას და ვერცერთხელ ვერ აიღო. ბოლო გადამწყვეტი ბრძოლა მდინარე **გონჯათხევისა** და **ლოპოტის** შესართავებთან გაიმართა. მტერი კი დიდი მარცხითა და ზარალით უკან გაბრუნდა.

სოფელი ლაფანყური კი 1905 წელს დაარსდა. მანამდე დუშეთისა და თიანეთის რაიონებიდან ფშავლებს საქონელი გამოსაზამთრებლად აშენებულ საზამთრო ბინებში ჩამოჰყავდათ. მათ ეს ადგილები ისე მოსწონებიათ, რომ გადაწყვიტეს მისი შეძენა. შეაგროვეს ფული და თავიანთი წარმომადგენლები: **ხვთისავარ ჩაქიაშვილი, ლეგა ნარუსლიშვილი** და სხვები საქმის მოსაგვარებლად თბილისში გაგზავნეს.

ამ ადგილების შეძენა თურმე ოსებსაც სურდათ, მაგრამ ფშავლებმა დაასწრეს. აქ არსებული **დიდვაკის** ტერიტორია გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. მერე კი როცა ფშავლებმა **ლაფნიან ყურეში** ტყე გაჯაგეს, აქ არსებული ხე-მცენარე **ლაფანიც** ამოძირკვეს, რომელიც მსოფლიო იშვიათობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ შეურქმევიათ ამ ადგილისათვის ლაფანყური. ასევე ცნობილია, რომ **ანტონ მარტყოფელმა** ქრისტიანობა იქადაგა ლოპოტის ხეობაში.

აი, ასეთია ისტორია იმ სოფლისა, სადაც სტუმრად ვიმყოფებით მშვენიერი ფშავლების ერთ-ერთ ოჯახში წიკლაურებისა, რომლის ერთ-ერთმა წევრმა, ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულმა მიმდევარმა — მაია წიკლაურმა გამაცნო სოფელ ლაფანყურის ტერიტორიული მართვის ორგანოს რწმუნებული, სრულიად ახალგაზრდა და უკვე ხუთი შვილის მამა — **მორის პარკინაშვილი.**

დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— დღევანდელი მდგომარეობით ჩვენთან 367 კომლია და 1076 ადამიანი ცხოვრობს. სოფლის ძირითადი საარსებო წყარო მესაქონლეობა და მეფუტკრეობაა.



მორის პარკინაშვილი სიბი ქვების შეგროვებისას ალაგერდის წმ. გიორგის მამათა მონასტრისათვის

ლაფანყურიდან 18 კილომეტრის დაშორებით, არის უნიკალური თეთრი მარმარილო, რომლის დამუშავებისთვის ჩვენდა სამწუხაროდ, სერიოზულად არავინ დაინტერესებულა. მისი დამუშავების საშუალებით ხომ დასაქმდებოდნენ აქაურები. სოფელს დასავლეთის მხარეს ესაზღვრება ბუნებრივი ფშა, რომელიც წვიმების დროს დიდდება, გადმოდის სოფლის შესასვლელის სავალ გზაზე და დიდ პრობლემას გვიქმნის.

— საინტერესოა შეეხო თუ არა თქვენ სოფელს მიგრაცია? და კიდევ რა პრობლემები გაქვთ?

— დიახ, მიგრაციის პრობლემამ ჩვენთანაც შემოაბიჯა: როგორც საერთოდ საქართველოში არსებობს დასაქმების პრობლემა, აქაც იგივე მდგომარეობაა. უმუშევრობის გამო დაცლილია სოფელი და აქაურები ლუკმა-პურის საშოვნელად და ოჯახის შესანახად უცხოეთში მიემგზავრებიან.

ნომერ პირველი პრობლემა სოფლამდე შემოსასვლელი გზაა, რომელიც შვიდი კილომეტრის მონაკვეთზე მთლიანად ამორტიზებულია. ეს კი ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. როგორც **თელავის რაიონის ხელისუფლება გვპირდება, 2013 წლისთვის ამ გზის პრობლემაც მოგვარდება.**

სოფელს აქვს 24 საათიანი სასმელი წყლის მომარაგება, მაგრამ თუ ორი-სამი დღის განმავლობაში, ან მეტხანს იწვიმა, წყალი იმღვრევა და სასმელად გამოუსადეგარი ხდება. ამის გამო გაწამებულები ვართ ლაფანყურელები. ვფიქრობ, მომავალ წელს შევძლებთ ამ საქმის მოგვარებასაც.

ლაფანყურში არსებობს საჯარო სკოლა, თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაღი და ამბულატორია, საბავშვო ბაღი წლეულს, სექტემბერში გაიხსნა. ასევე ვაშენებთ ახალ **ღვთისმშობლის სახელობის მიძინების ეკლესიას**, რომელიც შენდება უცხოეთში მცხოვრები ლაფანყურელების შემოწირულობებით. აღნიშნული ტაძრის დასრულება და ამოქმედება ხალხის სულიერი ცხოვრების საწყისი გახდება, რასაც სიხარულით მოელიან ლაფანყურელები.

— რას ისურვებდით სამომავლოდ და საახალწლოდ?

— ჩემს ქვეყანას და ჩემს ერს ვუსურვებ ბედნიერი ახალი წლის შემოსვლას, გამთლიანებას, გამრავლებას და სიყვარულში მეტ სიმტკიცეს. ყველას მოვუწოდებ, მოვეშვათ ერთმანეთის მტრობას და შევეჯიბროთ ერთმანეთს სამშობლოს სიყვარულში.

ესუბრა
ლაშა-გიორგი
კრავეიშვილი.



ძეგლად ამაღლდი

ჩემმა დარდმა და ჩემმა წუხილმა
შენც დაგაბერა ბავშვობის სახლო.
გადაიარა ჟამმა, ქუხილით,
გატრუნულია ხეობის ახლო...
უსულო არ ხარ, ფუძეგ და კერავ,
მე შენი სუნთქვა შორითაც მესმის,
ახლა სიჩუმეს ცისკარი კერავს,
და გაზაფხული ყვავილებს გესვრის.
იმედი გქონდა უკეთეს დღეთა,
და თუკი სადმე სახლს აშენებდნენ,
შენებრ ჩუქურთმებს დაუკვეთავდნენ,
უმალ შენს თავანს შეახსენებდნენ.
რა საოცარი გქონია ძალა,
ძარღვს, საიდანაც სიცოცხლე მოდის
ვდგავარ,
გიყურებ,
ცრემლებს ვერ ვმალავ
ვგრძნობ, როგორ მოწყდა
სიმძიმის ლოდი.
სიყვარულისგან გაურიყავი,

„ჩემს სულში უკვდავ ძეგლად ამაღლდი“

ანა მარინდაშვილის **შვილები სახელოვანი და ქველმოქმედი სპორტსმენი იურისტი ძმები — გივი და დათო ყვარელაშვილები არიან.**

ჩემს მეგობარ ცარო ხარაშვილს, ენეფე ყიფიანის მეუღლეს, სოფელ ხაშმში ვესტუმრე, რომელიც აქაური სოფლის მასწავლებელია და მასთან ერთად სკოლაც მოვინახულე. მის სიახლოვეს, ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ლამაზმა შენობამ, და აღმოჩნდა, რომ ეს იყო ანა მარინდაშვილის და მისი ვაჟიშვილების — გივი და დათო ყვარელაშვილების სახლი. ქალბატონ ანას წიგნსაც ცაროს და ენეფეს სახლში გავეცანი. ცარომ ამიხსნა, რომ იქ ცხოვრობს ერთი მშვენიერი ხაშელი ექიმი და პოეტი ანა მარინდაშვილი.

ამ მომცრო პოეტური წიგნიდან: „მერცხლების გადაფრენა“ გთავაზობთ წინასიტყვაობასა და ლექსებს.

ჩემს სულში უკვდავ ძეგლად ამაღლდი,
ერთად ვეწამეთ
ერთად ვიყავით,
ერთად ვიქნებით აწ და მარადის

***

არ მასვენებენ მწარე ფიქრები,
ამ გათენებას რა მოაქვს ნეტავ,
როცა ყოველი ნისლში ინთქმება,
და ქარი წარსულს თოვლივით ხვეტავს,
ეს სულიც ნეტავ, რად იფლითება,
რატომ მოირგო ტანჯვის სამოსი
როგორ იძალეს ირგვლივ ფლიდებმა,
რატომ გვაშინებს ცა საღამოსი.
ქარიშხალს მოჰყვა ტყვიათა წვიმა,
არის ტირილი, გლოვა, ძაძები.
და გადაცელილ ბალახად ცვივა —
ჩვენი ოცნება, წლობით ნარწევი,
ქართველი ქართველს უმიზნებს ტყვიას, —
როგორ ხარხარებს, ზეობს მაცილი.
მაღალი მთები სიმწრისგან ირთიან,
რა გველის?
მიწა დამწვარ-დაცლილი.

შვილებზე ფიქრი აღარ მასვენებს
საით არიან, ვღონდები დარდით,
მერე ჩვენს მფარველ ღმერთსაც ვახსენებ,
რომელიც ახლა მიწაზე დადის...

აპრილის მონატრება

ჯერ თეთრ სამოსელს იკერავს,
და საპატარძლოდ მზად არი,
შეხედავ, მოგაჯადოებს,
იმისი სულის ღადარი.
ლამაზი არის ისეთი,
ქვეყნად არაჰყავს, ბადალი,
ჯერ ენძელებად წაგიღებს,
დაგაორობს იის ბადაგი.
მერე ცა ბროლით იელვებს,
მთაბარი დაივერცხლება,
და უცხო ამბებს წვრილ-წვრილად
ჩაგვიკარკლავენ მერცხლები.
ცისარტყელების ყელსაბამს,
ცისკარს აჩუქებს მნათობი
აპრილო, რად იგვიანებ,
ჩუმჩუმად ჩემთვის ვდარდობ.
მერე მოხველ და იფეთქე,
ათას ყვავილთა ნაღმებით,
იმედის გაზაფხული ხარ
შენს გაჭრილ ბილიკს გავყვები.

პაპის საფლავთან

ჯერ გალავანი, მერე კარიბჭე.
წმინდა გიორგის ვიფიცებ სახელს...
სასაფლაოს ქვა... ფრთხილად ვბიჯებ...
ჩემი გვარია... ნაცნობი სახეც.
ასი წლის მტვერი, ასი წლის სული.
ასე მგონია რაღაც ხმაც ისმის.
ფიქრით მის განვლილ ცხოვრებას ვუვლი.
— ჩემი პაპაა და ჩემი სისხლი.
ვაჟკაცი იყო, ამბობენ ასე, —
მტერ-მოყვარე და ვაზი იცოდა,
მარანი ჰქონდა ყოველთვის სავსე,
მამულისათვის სანთლად იწვოდა.
ახლა მე ვზივარ მზით გამობარ ლოდთან —
გაქრა სიცოცხლე დარჩა — სახელი.
ღმერთო, ამრავლე იმისი მოდგმა
ნუ მოკლებოდეს საფლავს მნახველი.

ვედრება

განგრევდნენ, მაგრამ ვერრა გაგთელეს,
გაქრობდნენ, მაგრამ არა ქრებოდი.
ნათლისმცემელო, მუდამ ნათელო,
ნისლიდან ისევ გაბრწყინდებოდი.
გმტრობდნენ, გმუხლავდნენ,
ცემცხლით გარბევდნენ,
წყენა ჟამთა სვლას დაედო ხუნდად,
შენ კი უწმინდეს შარავანდედით
ამაღლებული იდექი მუდამ,
რაზე ჩურჩულებს იორი ნეტავ,
შენს გალავანს რომ უდგას დარაჯად,
მის ჩქერში შენი ალერსი ფეთქავს,
და წარსულ დღეთა ლანდიც არაჩანს.
ნათლისმცემელო!
მუხლს ვიდრეკ შენს წინ —
კვლავ მოგვიმრავლდა სევდის
ჩრდილები,
სიკვდილი დადის
საქართველოში, —
შენ დაიფარე ჩვენი შვილები!

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“



მ ო ს ა წ ვ ე ვ ი

ქალბატონ/ბატონ ________________

მაქვს პატივი, მოგიწვიოთ „კლასიკოსი მწერლის ალ. ყაზბეგის საერთაშორისო საზოგადოების გახსნის“

პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა ზ ე

2010 წლის 28 ნოემბერს, 14 საათზე.
(თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. 10, კლასიკური გიმნაზია)

პატივისცემით, საზოგადოების პრეზიდენტი

მარეხ ჩოფიკაშვილი
ელ-ფოსტა: not700@gmail.com

საქართველოს კარიბჭესთან, ძირძველ მიწაზე, ხევში დაირწა დიდი კლასიკოსი მწერლის და ეროვნული მოღვაწის **ალექსანდრე ყაზბეგის** აკვანი.

კიდევ მრავალი სახელოვანი შვილი გაზარდა ამ მიწამ. ასეთი მოღვაწე თვალსაჩინო ნოველისტი და პოეტი **გულო კობიაშვილი,** მეცნიერები: **ამირან არაბული, ავთანდილ არაბული** და კიდევ ბევრი სხვადასხვა პროფესიის მოხევეები, რომელთაც დიდი კვალი დააჩნიეს სამშობლოს წინსვლასა და ბედნიერებას.

ის დღე კი, იყო მნიშვნელოვანი იმით რომ **თბილისის პირველი სკოლის დარბაზში ალექსანდრე ყაზბეგის საერთაშორისო საზოგადოების პრეზენტაცია გაიმართა**, რომლის თაოსანი და პრეზიდენტი გახლავთ – **მარეხ ჩოფიკაშვილი**.

აღნიშნული საზოგადოება, ითვალისწინებს კლასიკოსი მწერლის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ლიტერატურული ხელოვნების, კულტურული ღონისძიებებისა და პროგრამების ორგანიზება – ჩატარებას, ლიტერატურული სახელოვნებო სახელმძღვანელოების, მწერალთა წიგნების გამოცემას, თარგმნას, ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ლიტერატურულ კონკურსების ორგანიზებას და ჩატარებას, სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო მწერლებისა და ლიტერატორების დაჯილდოებას, წახალისებას, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენასა და ხელშეწყობას, ურთიერთობას საქართველოსა და საზღვარგარეთის ლიტერატურულ საზოგადოებასთან და გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფს, ამავე საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილებით „საპატიო წევრის“ წოდების მინიჭებას მათთვის, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი ხევის კულტურული მემკვიდრეობის, დაცვისა და მისი განვითარების საქმეში.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც პირველი სკოლის მოსწავლეები, ასევე დირექტორი **ამირან ჯამაგიძე,** თვალსაჩინო ადამიანების: **ჯანსულ ჩარკვიანი, რევაზ მიშველაძე, გიორგი ალიბეგაშვილი, ეკა მამალაძე, ლიზა ბაგრატიონი, აპოლონ სილაგაძე, იზა ჯაჭვაძე, ჩოხოსნები და სხვები.** საღამო მიჰყავდა ქალბატონ **ნინო ნოდიას.**

ალექსანდრე ყაზბეგი ყოველთვის იყო ერის მოამაგე, დიდი ჭირისუფალი და სასიხარულოა, რომ შეიქმნა მისი სახელობის ეს მნიშვნელოვანი ორგანიზაცია.

ალექსანდრე ყაზბეგის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებლებს ვუსურვებთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმიანობის დაწყებას და თავიანთი უანგარო მოღვაწეობით გაამართლონ დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის სახელის მინიჭება. დიდმა მწერალმა მომავალ თაობებს ხომ დაგვიტოვა ანდერძად: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!..“

ლაშა-გიორგი კრავეიშვილი.

გოჩა ხარანაული

ალექსანდრე ყაზბეგს

კაცის გულის ამინდი როდის იყო სანდო,
სტეფანწმინდას მიდიხარ? წამოგყვები სანდრო!
ალქაჯებთან ჭიდილებს ვერ აუღე ალღო,
შენი ცრემლის ჭირიმე, წაქცეულო ბალღო!
სიცოცხლისგან ძლეულო, სიკვდილშემმუსვრელო,
მისანო და გრძნეულო, მადლის მინდორ–ველო!
მიწის ჭირისუფალო, ზეცის სინათლეო,
უჭერო და უბანო, ქვეყნის სიმართლეო!
რაღა უნდა მიკვირდეს შენი ჩოხის მტვერსა,
სჭირთ საერთო სიბრიყვე მოკეთეს და მტერსა!
მარადისის ნუსხა გაქვს განდობილი ბედით,
წუთისოფლის ტუსაღად შენ ვერ ივარგებდი!
ჯორის კუდად არ მიგირს,
ვინ რას იტყვის ამ დროს,
სტეფანწმინდას მიდიხარ?
წამოგყვები სანდრო!!!

1992 წელი.

ამ თვალსაჩინო პოეტის **გოჩა ხარანაულის** ლექსის წაკითხვა სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ამ მშვენიერ საღამოზე.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ:

გულო კობიაშვილს.

*

ირმა მეზურიშვილს

*

იზა ბარამიძეს

*

ლეილა არჩემაშვილს

*

ნანა ინწკირველს

*

ციცინო ბოჟორიშვილს

*

ირაკლი ზვიადაურს

*

ლუკა რამაზაშვილს

გაზეთ „კავკასიის“ რედაქციის ჟურნალისტები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და სახელოვანი მამულიშვილი

გია არსენიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს – ელენე სტურუას, შვილებს – ვანო და ნინო არსენიშვილებს, ძმას – ზურაბ არსენიშვილს, მის მეუღლეს ცირა აფციაურს, ზაირა არსენიშვილს, ნათესავებს და მეგობრებს.

იზა ჯაჭვაძის ოჯახი, გოდერძი ჩოხელის ოჯახი, მეუღლე – ნინო და შვილები – ლუკა და ნიკოლოზ ჩოხელები მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

არსენ წიკლაური

და სამძიმარს უცხადენენ მალხაზ წიკლაურს და მის ოჯახს. დაკრძალვა დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში (გუდამაყარი).



იზა ჯაჭვაძე, ლაშა-გიორგი კრავეიშვილი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის დიდი მეგობარი, თვალსაჩინო მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, გელათის აკადემიის აკადემიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლი, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე

მიხეილ ემილიანის ძე ქურდიანი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, შვილებს – ლევანს, ვაჩეს, ანამარიას, ნესტანს, დედას – ნათელა ჩოთალიშვილს, და ძმას – ოთარ ქურდიანს.

გაზეთ „კავკასიის“ სარედაქციო საბჭო იუწყება რომ გარდაიცვალა თიანეთის კულტურის ცენტრის დირექტორის – ლალი ივანაურის დედა

თამარ არსენის ასული გოდერძიშვილი

და სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ლალის, მის ოჯახს და სანათესაოს.

კავკასია

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
იზა ჯაჭვაძე

რედაქტორი
ლაშა-გიორგი კრავეიშვილი

რედაქტორის მოადგილე
დიანა გიგიაძე

სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, რეზო კობიაშვილი, ლევან ცალუღელაშვილი, გიორგი იჩუაიძე, ნუგზარ იდოიძე, ნატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, ლეილა არაბული, ომარ მარუქაშვილი, ქეთევან მჭედლური, გულო კობიაშვილი.

გაზეთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესს, ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალებში შეტანილი ფაქტების სისწორეზე, ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია

მისამართი:
კოსტავას ქ.№14
ტელ: 52-16-38
899-79-76-13